- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის ღონეზე ხორციელდება.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოვლის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფი ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია და ჯგუფი ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ანგარიშგებაში არსებული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს კონსიგნაციის პირობით რეალიზებულ საქონელზე წარმოქმნილ მოთხოვნებს. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების შინაარსიდან გამომდინარე ისინი არ შეიცავს არსებითი ღირებულების არა ბრუნვად მარაგებს, ამავდროულად ასეთი მარაგები საჭიროა გაყიდვების ციკლის უწყვეტად სამართავად. პერიოდის მარაგების ანარიცხები შედგება იმ დაზიანებული მარაგის ღირებულებისგან რომელზეც ჯგუფი აღარ მოელოდა მის შემდგომ რეალიზაციას.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა დაასრულა ახალი შოურუმის და მის ტერიტორიაზე სასაწყობო ფართების მშენებლობა, როგორც თბილისში ასევე ბათუმში და აღნიშნული ქონებები რეკლასიფიცირდა დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობა-ნაგებობად. იმის გამო რომ აღნიშნული ქონებები არ არის ექსპლუატაციაში შესული, ჯგუფის ანგარიშგებაში მასზე არ არის დარიცხული ცვეთის ხარჯი. ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში დაიწყო მარაგების-განთავსება ახალ შოურუმში და ასევე მოაწყო გაყიდვის წერილები, მაგრამ ვინაიდან ანგარიშგების თარიღისათვის არ იყო ათვისებული სრული ტერიტორიის 10 პროცენტზე მეტი არ მომხდარა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებულად განსაზღვრა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვალებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	40 წელი
• მანქანა-დანადგარები	5 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
• ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

კომპანია როგორც მოიჯარე

ჯგუფი იჯარით ფლობს სასაწყობე ფართებს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 11 თვიდან 5 წლამდე ვადით. უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა. სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი.

ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა. კომპანია არ იყენებს ფასს 16-ით გათვალისწინებულ გამონაკლისებს მცირეფასიან და მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით, შესაბამისად, მათი აღრიცხვა წარმოებს ზემოთ აღწერილი პოლიტიკის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებითი შენიშვნაში.

სესხები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხები მოიცავს გაცემულ სესხებს და შესაბამის დარიცხულ პროცენტებს, რომელიც შემცირებულია რეზერვებით. სასესხო ხელშეკრულების პირობების თანახმად მიმდინარე პერიოდში დაფარულია მხოლოდ საპროცენტო ვალდებულება და არ არის დაფარული სესხის ძირი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

ჯგუფის პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების ვაჭრობიდან წარმოქმნილ შემოსავლებს.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022	2021
შემოსავალი მზა პროდუქციის გაყიდვიდან	42,626,539	35,546,218
შემოსავალი მომსახურებიდან	8,120	129,170
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	42,634,659	35,675,388

შპს კომპანია ჯაოკენი
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 4 - მიწოდების ხარჯი

	2022	2021
სარეკლამო ხარჯები	905,966	481,804
საიჯარო ხარჯები	899,347	1,379,456
ტრანსპორტირების ხარჯები	452,973	326,202
საწვავის ხარჯები	215,551	101,200
მიწოდების სხვა ხარჯები	398,178	-
ანარიცხები	202,724	244,943
სულ მიწოდების ხარჯი	3,074,739	2,533,605

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
კომუნალური ხარჯები	38,870	23,731
საბანკო ხარჯები	286,717	246,172
წარმომადგენლობითი ხარჯები	203,031	8,383
რემონტის ხარჯები	149,735	16,430
მივლინების ხარჯები	83,664	43,691
საპენსიო ხარჯები	78,017	56,614
კომუნიკაციის ხარჯები	56,668	41,656
დაცვის ხარჯები	40,162	6,610
საკონსულტაციო ხარჯები	34,173	43,487
საკანცელარიო ხარჯები	27,534	27,412
სხვა ხარჯები	532,422	279,065
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,530,993	793,252

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ბალანსი 31/12/2022	9,445,468	37,422	23,067,024	142,001	429,557	1,753,295	34,874,768
ბალანსი 31/12/2021	9,431,604	18,594,593	620,851	7,000	366,669	230,537	29,251,254
ბალანსი 31/12/2022	9,445,468	37,422	23,067,024	142,001	429,557	1,753,295	34,874,768
დანამატები	13,864	3,807,510	22,517,984	141,890	205,887	1,713,823	28,400,958
აქტივების გასვლა	-	(22,364,681)	-	-	(70,979)	(13,249)	(22,448,909)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(71,812)	(6,888)	(121,539)	(189,094)	(389,333)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	49,520	11,278	60,797
ბალანსი 31/12/2021	9,431,604	18,594,593	620,851	7,000	366,669	230,537	29,251,254
დანამატები	148,856	18,529,593	207,071	-	298,127	118,072	19,301,719
აქტივების ჩამოწერა	(200,806)	-	(583,260)	-	-	(4,535)	(788,601)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(83,977)	(3,000)	(79,458)	(85,000)	(251,435)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	170,017	-	-	2,000	172,017
ბალანსი 31/12/2020	9,483,554	65,000	911,000	10,000	148,000	200,000	10,817,554

*ჯგუფის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სასესხო ვალდებულებების შესაბამისად.

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - იჯარები

	საწყობები
31 დეკემბერი 2021	-
დანამატი	-
გასვლა	-
ცვეთის ხარჯი	-
31 დეკემბერი 2022	-
დანამატი	938,238
გასვლა	-
ცვეთის ხარჯი	(112,325)
31 დეკემბერი 2022	825,913

შენიშვნა 8 - გაცემული სესხები

	12/31/2022	12/31/2021
ECO TILES IMPORTS LLC	3,211,421	4,698,547
შპს კომპანია ჯაოკენი ბილდინგ	-	1,184,000
სულ გაცემული სესხები	3,211,421	5,882,547

შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2022	12/31/2021
საქონელი	30,312,083	25,472,772
დაუმთავრებელი წარმოება	76	353,727
სხვა მარაგები	478,057	540,050
მარაგების გაუფასურება	(175,282)	(113,190)
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	30,614,933	26,253,359

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2022	12/31/2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	821,775	1869047.88
გადახდილი ავანსები	906,193	705,402
გაუფასურების რეზერვი	(272,385)	(131,753)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,455,583	2,442,697

შენიშვნა 11 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2022	12/31/2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	350,396	725,857
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	26,604	2,473,801
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	377,000	3,199,659

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - სასესო ვალდებულებები

სესხები	12/31/2022	12/31/2021
მოკლევადიანი სესხები	1,899,497	2,589,989
გრძელვადიანი სესხები	13,933,488	13,474,662
	15,832,985	16,064,651
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	15,811,782	16,064,701
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	-	-
სულ	15,811,782	16,064,701

	2022	2021
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	16,064,651	20,478,951
სესხზე დარიცხული პროცენტი	923,476	1,085,151
მიღებული ფულადი სახსრები	6,037,766	4,385,523
გადახდილი პროცენტი	(902,274)	(1,085,151)
გადახდილი ძირი თანხა	(3,315,649)	(6,023,967)
დადებითი საკურსოს ხვაობა	(2,974,986)	(2,775,856)
სულ ნასესხები სახსრები	15,832,985	16,064,651
გრძელვადიანი ნაწილი	13,933,488	13,474,662
მოკლევადიანი ნაწილი	1,899,497	2,589,989

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,937,433	4,241,852
მიღებული ავანსები	854,415	686,400
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,791,849	4,928,252

14. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ჯგუფის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. ჯგუფს საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. ლიკვიდურობის რისკები ორგანიზაციაში მაღალია, ვინაიდან პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია დიდი რაოდენობით ვალდებულებები, რომელიც წარმოქმნილია სასესხო და კრედიტორული ვალდებულებებით.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადამი	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,094,718				4,094,718
ნასესხები სახსრები		572,739	865,856	14,394,390	15,832,985
საიჯარო ვალდებულებები		55,972	167,915	383,560	607,447
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,094,718	628,711	1,033,771	14,777,950	20,535,150
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადამი	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2021 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,840,288				4,840,288
ნასესხები სახსრები	225,000	667,000	1,698,000	13,475,000	16,065,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,065,288	667,000	1,698,000	13,475,000	20,905,288

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს ავტონაწილების შესყიდვას და შემდგომ ეროვნულ ვალუტაში მათ რეალიზაციას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2022		
	GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	350,396	9,982	15,254
სავაჭრო მოთხოვნები	888,332	-	1,643
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,238,728	9,982	16,898
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,617,574	348,335	2,944,498
სესხები	333,823	1,696,443	13,802,719
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,951,397	2,044,778	16,747,217.03
სულ წმინდა პოზიცია	(712,669)	(2,034,796)	(16,730,319)

	31 დეკემბერი 2021		
	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 3.5040 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	745,600	42,824	2,411,235
სავაჭრო მოთხოვნები	2,755,697	2,000	-
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	5,882,547	-
სულ ფინანსური აქტივები	3,501,296	5,927,371	2,411,235
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,809,158	683,470	1,676,027
სესხები	-	16,064,651	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,809,158	16,748,121	1,676,027
სულ წმინდა პოზიცია	692,139	(10,820,750)	735,208

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

შპს კომპანია ჯაოკენი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

31 დეკემბერი 2022	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(406,959)	406,959	(3,346,064)	3,346,064

31 დეკემბერი 2021	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(2,164,150)	2,164,150	147,042	(147,042)

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

შპს კომპანია ჯაოკენი
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2022			
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სახელფასო ანაზღაურება
მეკავშირე პირები	3,211,421	1,675,240	
უმაღლესი რანგის ხელძღვანელობა			245,108
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	3,211,421	1,675,240	245,108

2021			
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სახელფასო ანაზღაურება
მეკავშირე პირები	5,882,547	49,077	
უმაღლესი რანგის ხელძღვანელობა			285,000
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	5,882,547	49,077	285,000

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

ცალკეული მმართველობის ანგარიში

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

შპს „კომპანია ჯაოკენი“ დაარსდა 1997 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით, ასევე, სანტექნიკური მოწყობილობებით და აქსესუარებით ვაჭრობა. მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, კომპანია დაარსების დღიდან დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს და მუდმივად განვითარების პროცესშია. კომპანიას ქვეყნის ყველაზე დიდ რეგიონებში აქვს ფილიალები და თითქმის მოიცვა მთელი ბაზარი. მან საკუთარი სწორი მმართველობით და საქმიანი რეპუტაციით შეძლო მსოფლიოში ცნობილ ბრენდებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება და დღეს შპს კომპანია ჯაოკენი თანამშრომლობს 200 ზე მეტ უცხოელ მომწოდებელთან (ჩინეთი, თურქეთი, უკრაინა, გერმანია, იტალია ესპანეთი). მრავალრიცხოვანი კმაყოფილი მომხმარებელი და ბაზარზე ლიდერული პოზიცია კი დასტურია იმისა, რომ კომპანია დაარსების დღიდან განვითარების სწორ გზას გადის.

კომპანია არ კმაყოფილდება მიღწეულით და მისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად 2017 წლის ბოლოს ქ. თბილისში თ. ერისთავის #1-ში, იწყებს ახალ პროექტს - მრავალფუნქციური 13 სართულიანი კორპუსის მშენებლობას, რომელიც წარმატებით დასრულდა 2019 წლის აპრილში. ბინების 100 % უკვე რეალიზებულია.

2018 წლის ნოემბერში კომპანიამ შეისყიდა შპს გ.ს.გ დიზაინის 75 % იანი წილი. აღნიშნული კომპანიის საქმიანობასაც სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით ვაჭრობა წარმოადგენს.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები.

კომპანია ახორციელებს საბაზრო მოთხოვნების შესწავლას, რომელიც განაპირობებს ყოველწლიური მიდგომების ცვლილებას, გაყიდვების პროცესის დახვეწას და მომხმარებლებისთვის ხარისხიანი პროდუქციის/ მომსახურების შეთავაზებას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართები არ იყო საკმარისი იმ მასშტაბის შოურუმების მოსაწყობად, რომელსაც კომპანიის ასორტიმენტი მოითხოვს, მან 2020 წელს დაგეგმა ახალი შოურუმების მშენებლობა ქალაქ ბათუმსა და თბილისში. თბილისში და ბათუმში სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2020 წელს და როგორც გათვლილი ჰქონდა, დაასრულა 2022 წლის პირველ ნახევარში. ორივე შოურუმმა ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლის ივნისიდან.